სახალხო გაზეთი

№ 695 სამშაბათი, 11 სექტემბერი 1912 წ. № 695

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიკაის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მოროსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე ყვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 6-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ ამ მისამართზე ერქმევა თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ. **სახ. გაზ. კანტორა.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით 1912 წლისათვის.

მიიღება ხელის მოწერა

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 ენკენისთვიდგან **წლის დამლევამდე ღირს 3 მან.**
თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნატალია ექვთიმეს ასული კურცხალიასი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **პავლე იოსების ძე კურცხალია,** და სთხოვს მათ, რომ მობრძანდნენ საკუთარს სახლში დასაფლავების დღეს, სოფელ ბაბს 11 ამა ენკენისთვეს, სამშაბათს, დილის 10 საათზე. (2.663.2)

დღეს, 11 სექტემბერს, კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

კნ. ეფროსინე სტეფანეს ასულის აბაშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მისი **თ. ვლადიმერ სვიმონის ძე აბაშიძე** და შვილები: **ვასილ, სიმონ, დავით** და **იასონ აბაშიძენი, ელისაბედ ჩიქოვანისა, ნინა კოჩრინევისა** და სიძე **ვასილ ანტონის ძე კოჩრინევი.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—27 1)

აგენტი

მ. ა. გაჟონია

ღებულობს როგორც ტფილისის, ისე ტფილისს გარეთ გაზეთებისათვის ყოველ-ნაირ განცხადებებს.

ადრესი: 1. მიხეილის პრ., სასტუმრ. „ვეტცელი", ტელეფ. 3—80. (10.1436.13) 2. ვაკე, საკუთ. სახ., ქართულ გიმნაზიის ახლო, 9—25.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:

ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი	50 კ.
გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი	85 „
მოძრავი ანბანი—კარდონზე	30 „
ანბანი კუბიკებზე . . .	1 მ.—
წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ. II, ...	50 „
წყარო, იმსივე, ანბანი და პირველ საკითხავი . . .	25 „
არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით .	40 „
იგივე ნაწილი II, ყდით .	50 „
მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია	35 „
მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . .	35 „
მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ჭიჭ.	20 „
ფიზიკური გეოგრაფია . .	20 „
ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ.	50 „
ყუბანეი შვილი. პირ.-დაწყ. სწავლება საღვთო სჯულზე, ყდ.	30 „
ახალი აღთქ. სამღ. ისტ., მისივე	40 „
ძველი აღქმ. სამღ. ისტ. მისივე	50 „
ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა წყვილი . . .	5 „
ათასამდე ყოველი ასის ფასი	2 მ. 40 „
ათასზე მეტი ყოველი ასი	2 მ. 30 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1141.119)

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების

გამგეობა ეძებს მასწავლებელს

სოფ. შრომის (სოღნაღის მაზრაში) **სკოლისათვის.**

მასწავლებელს ექნება ჯამაგირად 360 მანეთი წელიწადში, ბინა და შეშა. (2.1492.2)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრედვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაიარიცხებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორდანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით ვამმცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—153—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძველნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	მალალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ფსიქიატრ.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სულ. ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
სულ. ელექ. და კანტ.	**ათინიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
	ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
ნევრ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათ.-ით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამეცნიერო-ქიმიო და სანაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე ფოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტაციები, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტროენით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (ტ. 1010.104)

ღარიბ-მოწაფეთა დამხმარე ტფ. გუგერნიის თ.-აზნაურთა საზოგადოების

გამგე კომიტეტი

ამით აცხადებს, საზოგადოების წევრთა კრება, ნაცვლად იმ წლიურ კრების, რომელიც არ შესდგა ამა წლის 24-ს თიბათვეს, არის დანიშნული **23 ამა თვის დილის 11 ს.,** სათავად-აზნაურო გიმნაზიის სადგომში. განსახილველია: 1) ანგარიში 1911 წ. საზოგადოების მოქმედების შესახებ, 2) მიმდინარე წლის ხარჯთ. აღრიცხვა, 3) საოჯახო და სამოსწავლო კითხვები 4) მოხსენება გამგე კომიტეტისა წესდების ამა თუ იმ მუხლის შეცვლის შესახებ, 5) ინსტრუქციის გადასინჯვა და ამორჩევა იმ წევრებისა, რომელნიც თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას ვადის გასვლამდე. (1.1194.1)

კვირას, 16 ენკენისთვეს, გამოვა ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სლიტერატურო ჟურნალი



რედაქცია იმყოფება:

ტფილისი, გაბაანთ შესახვ., № 3 რედაქცია „კ ლ დ ე"

წლიური ფასი	5 მან.
ამა 1912 წლ. დამლევამდე . . .	1 „ ¼ 50 კ.
თვეში	— „ 50 კ.

(სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მანეთად).

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათამდე. (5.1495.1)

სასტუმრო „უნივერსალი"

(ძველად „მუხრანის ნომრები") **ტფილისში, გოლოვინის პროს.** სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენიერად; დიდ-ლი ხერხოა ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სუფთაობა, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები ეზოსაკენ ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 80 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. **ტელ ეფ. № 499.** (25·1484.3)

მიიღება ხელის მოწერა

„ოლიპულ გზაზე"

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რ ო მ ა ნ ი)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი,** შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში" და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ „ქართლის" კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრედვე კანტ. „იმერეთის" ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасія Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—456—17)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის

-ლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკვეთად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თამბაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 178)

დაიბეჭდა ¼ **გასასყიდად გამოვიდა**

წ ი გ ნ ი

„დებულებანი ამიერ კავკასიის გამიჯვნის საქმისა",

(„Положеніе о размежеваніи закавказскаго края")

შესაძე გაფოცებულ ძეცწორებული ალ **თვალსაჩინოდ შევსებული** ახალ განმარტებითა და 1897 წ. მაისის 26-ს გამცემულ კანონთა დებულების ჩართობით, **რომელიც** გამიჯვნის ჩჩარების საშუალებას ეხება. შეადგინა **კ. ე. დოლგოვმა,** ტფ. სამოსამართლო პალ ტის წევრმა. **ფასი 1 მ. 50 კ.** წიგნის საწყობი წიგნის ცენტრალურ სავაჭროში, ტფილისში, გოლოვინის პროსპექტი. (4.1485.3)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ასპიროვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

მღებრიშვილი—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. ½ ს.

მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ. პარასკ. 2—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

ვესელოვზორაროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

გურგენიძე შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს

საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წიდაწინვე ჩაწერით. (თ—366. 264)

ექიმი ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—7 საათ. გოლოვინის პრ. № 12. (თ.1334.9)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოხოგი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური-და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლოგა „606"-ით.

(წლ—1018—74).

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლოანოვის ქ. № 20. (წ.—1022—83)

ექიმი დ. ბ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.19)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.192).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაბაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე (თ.—10.49—138)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., № 6

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **თაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირ. დაპირ. (25—1178—808

ექიმი ქალი კბილისა ნინა რცხილაძე 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე

ექიმ ი. ე. ჯაფის კაგინეთი შინაგანი და დედ. ავადმყ., სადოსტაქრო ავადმყ. ამბულატორიით მიიღებს **15 სექტემბრიდან** -დილ. 8—11 საათ.; საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. (25.1480.5)

ექიმი ს. ი. ბაქელიშვილი შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—43)

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ პანაშვიდი ალ. ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად. კვირას, 9 სექტემბერს, პროფ. ალ. სოლ. ხახანაშვილის გარდაცვალების მეორმოცე დღეს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქმნა მიცვალებულის წირვა, რომლის შემდეგაც განსვენებულის საფლავზე, ეკლესიის გალავანში, გადახდილ იქმნა პანაშვიდი. გალობდა კ. ჩარკვიანის გუნდი.

სათათბიროს არჩევნების გარშემო. სათათბიროს დეპუტატის ამომრჩეველთა არჩევნები საერთო კურიისა 3 ოქტომბერს მოხდება.

სომეხთა ნერსესიანის სემინარიის ახალი შენობა კვირას, 9 სექტემბერს, აკურთხეს მრავალ ხალხის თანადასწრებით. შენობის კურთხევის წინ გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ სომეხთა ქათალიკოსის ნერსეს V-ის სულის მოსახსენებლად.

როგორც მკითხველებმა იციან, ქალაქის თვითმართველობას მირხოევის და სხვათა ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის პაები ანდერძით დარჩა, ღირებული თვითეული 500 მან. ქალაქს თითო პაიში ახლა 2,475 მან. აძლევენ.

სეირნობა. 8 და 9 სექტემბერს სახალხო გასართობთა საზოგადოებამ ვერაზე, „ფიქრის გორაზე" დიდი სახალხო სეირნობა გამართა. 8 სექტემბერს წვიმამ სეირნობას საკმაოდ შეუშალა ხელი, ხოლო 9 სექტემბერს სეირნობამ დიდძალი ხალხი მიიზიდა. მთელი გორა საუცხოოდ იყო მორთული და გაჩირაღდნებული. იყო უფასო სინემატოგრაფი, მუსიკა, სხვა და სხვა სათამაშო გასართობი და სხვ. სეირნობის შემოსავალი გადაიდება ვერაზე სახალხო სახლის ასაშენებლად.

მისაბაძი მაგალითი. ამ დღეებში გარდაიცვალა კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთიის" ბუჰგალტერი **თავ. შაქრო ვაჩნაძე.** საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, ამ პატიოსან მუშაკის ხსოვნის აღსანიშნავად წელს ქართულ გიმნაზიის ერთ-ერთ ღარიბის მოსწავლის მაგივრად სწავლის ფული თვით შეიტანოს.

უმაღლესი სასწავლებელი ტფილისში. გუშინ ტფილისში დაიწყო კრება უმაღლეს სასწავლებლისთვის მზრუნველ მთავარ კომიტეტისა. კრებაში მონაწილეობის მისაღებად ტფილისში ჩამოვიდა ბაქოელი საზოგადო მოღვაწე ალი მარდანბეგ თოფჩიბაშევი.

თავი მოიკლა საწამლავით თნინვალის მისახვევში მცხოვრებმა დურგალმა გრიგოლ ალექსის ძე იზოტოვმა, რომელმაც დასტოვა შემდეგის შინაარსის ბარათი: „გთხოვთ, ჩემს სიკვდილში ბრალს ნურავის დასდებთ. მე იმიტომ ვკვდები, რომ საზიზღარი [illegible]"

ქალის გაჭყლეტა. 9 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე, რკინის გზის ლიანდაგზე, პეტრე-პავლეს სასაფლაოსკენ, გადადიოდა სოფიო ილიას ასული კანიაშვილი, რომელსაც უცებ წამოეწია ორთქმავალი ორის ვაგონით და ორივ ფეხი მოაწყვიტა. ქალი იმავ წამს გარდაიცვალა.

კაცის ძვლების პოვნა. 9 სექტემბერს სირაჯხანაში როტმისტრის ქვრივის ანნა ივანეს ასულ მირიმანოვის ძველს სახლს ანგრევდნენ. ერთს ადგილას, მიწაში, იპოვეს კაცის ძვლები, ჰფიქრობენ, რომ უცნობი მოძრაობის დროს მოუკლავს ვისმე და იქ ჩაუფლავს.

თავის მოკვლის განზრახვით 9 სექტემბერს თავის სახლში (ანდრეევის ქ., 39) ცოლთან ჩხუბის დროს, მარცხენა ძუძუში დანა ჩაიცა სვიმონ ნიკიტას ძე მარტინოვმა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

10-ენკენისთვეს ტფილისიდან დასავლეთ საქართველოში თავის თაოსნობით საშინაო მრეწველობის შესახებ მასალების შესაგროვებლად გაემგზავრა **თ. ღლონტი** და იმედია საჭირო პირები სათანადო დახმარებას გაუწევენ.

პოლიციმეისტრის თანაშემწე კაპიტანი სტროევი დასასვენებლად წავიდა. მის თანამდებობას ასრულებს მეცხრე უბნის პოქაული ლევაშევი.

8 სექტემბერს მუხრანის ხიდთან იპოვეს 6—8 თვის ბავშჩის გვამი რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

7, 8 და 9 სექტემბერს ტფილისში 136 უპასპორტო შეიპყრეს.

სასწავლებლებში.

ტფილისის მიწის მზომელთა სასწავლებელში გაჯიბრებითი გამოცდა დაიწყო 25 აგვისტოს და 10 სექტემბერს დასრულდა. შესვლის მსურველი იყო 280 კაცი. ამათგან 70 კაცი რიგიანი გამოდგა. თავისუფალი ადგილი პირველ კლასში იყო 38 (ორი კაცი დარჩა პირველ კლასში). მიღებულთა რიცხვში 4 ქართველია: გიგინეიშვილი, გუდაძე, ტაბატაძე, თუშმალოვი. მეცადინეობას დაიწყებს 12 სექტემბრიდან.

ავლაბრის საქალებო პროგიმნაზიაში. პროგიმნაზიაში შესვლის მსურველი წელს 294 კაცი იყო. მიიღეს 205. პროგიმნაზიის დირექტორად გაწვეულია ავლაბრის გიმნაზიის დირექტორი ი. ს. ღულაძე.

კვირას, 9 აგვისტოს, პროგიმნაზიის შენობა აკურთხეს. კურთხევის წინად გადახდილ იქმნა პარაკლისი. ხალხი ბევრი დაესწრო. წარმოითქვა შესაფერი სიტყვები.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.

ქართული გიმნაზიის რუსული ენის მასწავლებლად, ნაცვლად გ. ნათაძისა, მოუწვევიათ ბ-ნი **ნუცუბიძე.** ამავე გიმნაზიაში ფრანგულ ენის რამდენიმე გაკვეთილი მიუციათ **ჯაჯუ ჯორჯიკიასათვის.**

რაჭის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ბ-ნ **დავით ჯაფარიძეს** საჭივარი შეიტანია [illegible] კრებულზე იმის შესახებ, რომ მას წინამძღოლთათვის გადადებულს ფულს არა აძლევენ. სასამართლოს საჩივარი შეუწყნარებია.

ქალაქში დიდ ლაპარაკს იწვევს ის გარემოება, რომ ვიღაც შანტაჟისტებმა **მოიტაცეს ექიმ კაკიტელაშვილის ძმა.** პოლიცია ფეხზე დადგა, ეძებენ დაკარგულს და ჯერ ვერას გამხდარან.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ.

ჭიათურაში მომავალ სამოსწავლო წლიდან შ. ქ. საბჭო არსებულ სამოქალაქო სასწავლებელთან, არსებს ტეხნიკურ განყოფილებას, რომლის ინსპექტორადაც საბჭოს სამოსწავლო კომისიას ტფ. ს. თ. აზნაურო გიმნაზიის მასწავლებელი ბ-ნ **ს. იაშვილს** იწვევს. მათ შორის ეხლა მოლაპარაკება სწარმოგებს.

ᲒᲝᲠᲘ

შაბათს, 8 ენკენისთვეს მიძინების ტაძრის სამრევლო სკოლის მოსწავლენი მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ექსკურსიით გაემგზავრნენ მცხეთისკენ. პატარა მოგზაურებმა დაათვალიერეს საისტორიო ნაშთნი და საღამოს უკანვე დაბრუნდნენ ფრიად ნასიამოვნებნი.

შვიდ ენკენისთვეს ქალაქის საზაფხულო საკრებულოს დარბაზში **გრ. რობაქიძემ** წაიკითხა ლექცია „შოთა რუსთაველი". დარბაზი სავსე იყო მსმენელებით და დიდის აღტაცებითაც შეეგებნენ ნიჰიერს ლექტორს. ლექციის შემდეგ ტაშის ცემით გამოიწვიეს ი. გრიშაშვილი და ლექსი წააკითხეს, რომლის შემდეგ ადგილობრივმა ინტელიგენციამ სტუმართ ვახშამი გაუმართა.

საშინელი სიცხეები დაიჭირა ამ ბოლო ხანებში. მცენარეულობა ჩამოხმა, მიწა ყაშა-ყაშაა დახეთქილი. ასეთი გვალვა ძალიან აფიქრებს მიწის მუშას. ხვნის დროა, მაგრამ მიწა ისეა გაქვავებული, რომ სახნისის გატარება შეუძლებელი ხდება.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი.

„რუსკოე სლოვო"-ს 208 ნომერში დაბეჭდილია კორესპონდენცია საქართველოდან არჩევნების შესახებ. კორესპონდენტი ნაციონალისტებს თავად-აზნაურობას უთანაბრებს და ამით დეპუტატებს ქართულ საქმეთა ნოქარს ეძახის. საზოგადო კილო წერილისა ძალიან მიკერძებითია.

(სძკუთ. კორესპონდენტისაგან.)

მოსკოვი.

ლაზარევის ინსტიტუტში გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ პროფესორის ალ. ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲕ-ᲙᲐᲠᲒᲘ

— საარჩევნო ბიუროში არა ყოფილხარ?—მკითხა ერთმა ნაცნობმა, როცა 2—3 დღის წინად სასტუმრო Graud Hotel-თან გავიარეთ.

[illegible] ბუკიკვრივე—ვერ წარმოვიდგინე, რომ ვინმე ქუთაისში საარჩევნო საქმეს ბიუროს დაარსებით მოაწყობდა.

— აბა, რის მეთვალყურე ხარ, თუ ეგეც არ იცოო,—გამიმეორა მანვე. აქ თ-მა ვლ. მიქელაძემ ბიურო მოაწყო და მსურველს შეუძლიან მივიდეს იქ, საჭირო ცნობები მიიღოს, გაიგოს თვით კანდიდატისაგან მის პოლიტიკური კრედო და სხვა. თვით ბ-ნი მიქელაძე განსაზღვრულ დროს ბიუროში იმყოფება დაჩვეულებრივი ენაწყლიანობით ლაპარაკობს მომავალ მოქმედების თაობაზე პარლამენტში, თუ მისი წევრი გახდება და არც იმას ივიწყებს აღნიშნოს, რომ რუსეთის პარლამენტის კედლები შეინძრევა, როცა იგი, თ-დი მიქელაძე, ჩვენი ქვეყნის შესახებ, ხოლო დეპუტატები პურიშკევიჩიდან დაწყობილი კოროპკინამდის სმენად გაიაქცევიან და თ-დი მიქელაძის რეჩებს თუ მუხლ-მოდრეკით არა, მოწიწებითა და პატივის ცემით მაინც მოისმენენ.

— მერე, ბიუროს მდივანს და სხვა მოწყობილობას ხარჯი არ უნდა?—ვკითხე მე. —ნუ თუ თ-დი მიქელაძე გაბედოვლათდა რომ ამ ხარჯს თ? თონ ეწევა?

არა, „მოწინავე ელემენტებს" შეუკრებია საჭირო ფული და ამით ინახავენო ბიუროს, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ არჩევნებისათვის საჭირო წყარო სხვა ადგილიდან მოჩუხჩუხებსო.

რა წყარო ჰქონდა მხედველობაში ჩემს მესაუბრეს, ვერ გავიგე, თუმცა შეკითხვით არა ერთხელ შევეკითხე.

* * *

„მოწინავე ელემენტების" ერთერთ წევრზე მცირე ამბავი უნდა ვაუწყო მკითხველს.

საადგილ-მამულო ბანკში ვიყავი. დერეფანში ბევრი ხალხი შეკრებილიყო და ცხარედ ლაპარაკობენენ. მორიდებულებამ ნება არ მომცა ბაასისათვის ყური დამეგდო და ჩემი გზით წავედი. ჯერ კიდევ ბანკთანვე ვიყავი და ორი კაცი დაძეწია.

— თქვენ, ბატონო, მგონი გაზეთის თანამშრომელი ხართ?—მკითხა ერთმა,

ჩემი ვინაობა ვერ დაუმალე და მაშინ გაზეთში აღსანიშნავად შემდეგი მიამბო: „რამდენიმე გლეხმა მოვინდომეთ ს. თერჟოლაში ბანკზე დარჩენილი თ-დი ვ. ერისთავისეული მამულის ყიდვა. ბევრი ვაჭროების შემდეგ, გამგეობამ მამული დაგვითმო 7000 მ. იმ დროს, როცა ამ მამულის ვალი 2500 მ. გამგეობამ მამული დაგვითმო 7000 მ. იმ დროს, როცა ამ მამულის ვალი 2500 მან. არა აღემატებოდა. ამ მამულს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და როცა მოვრიგდით, გულს იმედი მოეცა. აი აქ იწყება ჩვენი ვაება და წვალება. გაჩნდა ერთი ჩვენებური აზნაური, რომელიც თურმე ბანკის რწმუნებულიც არის, და გვითხრა—თუ რაიმე სასყიდელს არ მომცემთ, საქმეს ჩაგიფუშავთო. ჩვენ ყური არ ვათხოვეთ ასეთ მუქარას. არ გასულა დიდი ხანი და გვაცნობეს, რომ ხსენებულმა აზნაურმა განცხადება შეიტანა ბანკის გამგეობაში, მამულის მყიდველ[illegible] ზ[illegible] ნეთს ვაძლევო, ხოლო ფულის მაგივრად თავდებს ვარდგენო. შევშინდით—გვეგონა, თუ გამგეობა შეიწყნარებდა ამ წინადადებას. ამ დროს ხსენებულმა ბანკის რწმუნებულმა, კვლავ მოგვთხოვა „ოტსტუპნოი" და კიდევაც მივცემდით თავიდან მოსაშორებლად, რომ საიდიუმლოთ არ ეთქვათ ჩვენთვის, ბანკის გამგეობა ფულის წარუდგენლად შუამდგომლობას არ შეიწყნარებსო.

გავმაგრდით. გადაურჩით „ბანკის რწმუნებულს". მერე აგვეკვიატა თვით ბანკის ერთი მოსამსახურე—იმანაც მუქარა დაგვიწყო—ნასყიდობას ჩაგიშლითო და ისიც როგორც იქმნა მოვიშორეთ და გამგეობას, რომ დმეთისათვის არ შეეხედნა და საქმისათვის ბოლო არ მოეღო, ჩვენ ჩვენი დაგვემართებოდაო.

უნებურად მომაგონდა, რომ თ-დი ვლ. მიქელაძის მიერ „მოწინავე ელემენტებად" მონათლულთა შორის ურევია ის პატიოსანი გვამიც, რომელიც ჩარჩობას ეწევოდა თერჟოლელ გლეხებთან. **კეს.**

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡ

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

მომავალ სამოსწავლო წელს ტფილისის სათავად-აზნაურო ქალთა გიმნაზიაში განთავისუფლდა ადგილი ფრანგული ენის მასწავლებელისა. მიუხედავად იმისა, რომ მთხოვნელების უმეტესობას ქართველი ქალები შეადგენდნენ, ქალთა კომიტეტმა თავის დადგენილებით მოიწვია მასწავლებლად ფრანგის ქალი. არ შეგვიძლიან ამ დადგენილებას „უცნაური დადგენილება" არ ვუწოდოთ, მით უთრო რომ მთხოვნელებთა შორის ისეთი პირებიც იყვნენ, რომლებსაც კარგად ჰქონდათ შეთვისებული ფრანგული ლიტერატურა და ენა. არ გვესმის, რით ხელმძღვანელობდა ქალთა კომიტეტი, როდესაც ამ საკითხს სწყვეტდა; თუ იმ პრინციპით ხელმძღვანელობდა, რომ ფრანგმა ფრანგული უკედ იცის, ვიდრე ქართველმა, მაშინ უნდა მოვახსენოთ, რომ მასწავლებლების არჩევანში საზოგადოდ ხელმძღვანელობენ არა მარტო იმით, თუ ვინ უკედ იცის ეს თუ ის საგანი, არამედ იმითაც, ვინ უკედ ასწავლის ბავშვებს. ვინ უკედ უხსნის მათ ამა თუ იმ საგანს; თუ ამ მეორე პრინციპით ვიხელმძღვანელეთ, მაშინ, ეჭვს გარეშეა, ქალთა კომიტეტის დადგენილება შემცდარია, მოკლებული ყოველნაირ პედაგოგიურ პრინციპებს. ლიტერატურა და მასთან ცხოვრება გვიმტკიცებს, რომ უცხო ენის შესწავლა „მადამ-მუსიოების" და ბროკე-ბოპრეების" წყალობით დედაენის ანუ რომელიმე გასაგებ ენის გარეშე ყოვლად შეუძლებელია. ესეც რომ ასე არ იყოს, ნუ თუ ქალთა კომიტეტს დაავიწყდა ის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, რომელიც გამოუცხადა მთელ საქართველოს მოწინავე ნაწილმა მუნჯურ მეთოდს? შეიძლება ქალთა კომიტეტი ხელმძღვანელობდა ბერლიცის მეთოდიო (თუმცა ამაში დიდი ეჭვი შემაქვს), მაგრამ მაშინ მათ ისიც უნდა სცოდნოდათ, რომ ბერლიცის მეთოდი მხოლოდ სრულწლოვან თათვის არის შემუშავებული და დღეს უკვე ნათლად დამტკიცდა, როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე რუსეთში, რომ ბავშვებისთვის ეს მეთოდი ყოვლად უვარგისია და უნაყოფო. მაშ, რით ხელმძღვანელობდა ქალთა კომიტეტი? ნუ თუ იმ გადამთიელების აზრით, რომ ქართველს არაფრის შნო და უნარი არა აქვს და ამისთვის ყოველნაირი საქმე უცხოელმა უნდა შეასრულოს ჩვენში?

რაიცა შეეხება იმ, ვითომ ქართველ ქალს ისეთი ნამდვილი კილო არ ეჭნება, როგორც ფრანგის ქალს ამაზე ქალთა კომიტეტს უნდა მოვახსენო, რომ საფრანგეთში თვრამეტი სალაპარაკო კილოა, მხოლოდ ლიტერატურულ სწორ კილოდ ითვლება სოფრანგეთის [illegible] ლო. ვინ თქვენ დარწმუნებული ვართ, [illegible] მასწავლებელი ქალი საფრანგეთის ცენტრიდანაა? ეს ხომ ყველასათვის ცხადია, რომ რუსებს და განსაკუთრებით ქართველ ქალებს გაცილებით უკეთესი კილო აქვთ ფრანგულ ენაში, ვიდრე ფრანგის ქალებს მარშლიდან, ბორდოდან ანუ ბოვედან. მაგრამ დავანებოთ ამას თავი, დაუვართ ერთ წუთს თქვენი აზრის სიჭე მარიტე, რომ ქართველს უცხო ენაზე ყოველთვის ეტყობა ქართული კილო. მაშინ იბადება საკითხი ვინ ასწავლის რუსულ ენას სათავადაზნაურო როგორც ქალების ისე ვაჟების გიმნაზიაში?—რასაკვირველი ქართველები—მაშ, მათ ხომ განსაკუთრებული კილო აქვთ რუსულიგამოთქმაში, ეს ხომ ყველამ ვიცით რატომ არ ვცვლით მათ და არ ვიწვევთ რუსებს?! ავიღოთ ფრანგული ენა—ვინ ასწავლის ფრანგულ ენას ვაჟების გიმნაზიაში?—ისევ. ქართველები, მაშასადამე თქვენივ ლოგიკით ისევე ქართული კილოთი. მაგრამ ჯერ არავის მოსვლია აზრად მათ მაგიერ ფრანგების მოწვევა. დავანებოთ ყველა ამებს თავი, თუ ქალთა კომიტეტს ოდნავ მაინც აინტერესებდა ღირსეული ქართველი მასწავლებელი ჰყოლოდა, მაშინ რად არ დაუნიშნა გამოსაცდელი გაკვეთილები მთხოვნელებს მაშინ ხომ ნათლად გამოირკვეოდა ყველა მთხოვნელის ცოდნა? დიახ, არ შეგვიძლიან კომიტეტის დადგენილებას „უცნაური დადგენილება" არ ვუწოდოთ. **ე. ალშიბაია.**

ᲒᲔᲗᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲘᲡ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ

ვინ მოსთვლის, რამდენი ფასდაუდებელი განძი-სიძველე იღუპება ჩვენი დაუდევრობისა, თუ შეუძლებლობის მიზეზით. სადღეისო ცხოვრების სიტკბოს მაძიებელთ აღარ გვახსოვ „გუშინ და ხვალე", ამიტომ ქარი ანიავებს მას, რაც ჩვენი წარსული ცხოვრების უტყუარი სახის მაჩვენებელია. ტფილისიდან ოცდაათი ვერსის მანძილზე არსებობს გეთანიის ძველი მონასტერი, რომელიც, მრავალ სხვა ძეგლთა შორის, მოწმეა ღვთაებრივი თამარ-მეფის დროის დიდებისა, თლილი ქვით ნაშენი ეკლესია ალავერდის ტაძრის გეგმას წარმოადგენს, მხოლოდ ამ უკანასკნელზე გაცილებით უფრო მომცროა. მშვენიერი ჩუქურთმები, წნული, თუ ნაქარგი, ძველი ხელოვნების საუცხოვო ნიმუშს წარმოადგენს. შიგნით და გარედ ეკლესია მხატვრობით ყოფილა ოდესმე დაფარული, დღეს კი მხოლოდ ლანდიღაა მხატვრობისა. შედარებით კარგად შენახულა ჩრდილოეთის მხრის კედელზე თამარ-მეფისა, დავით სოსლანისა და გიორგი—ლაშას სახეები; სხვაგან კი ჟამთა ვიღარება თითქმის მთლად მოუსპია იგი. ამ თექვსმეტი წლის წინად, როდესაც ეკლესია ნანგრევებს წარმოადგენდა და მწყემსებს ჯოგის თავ-

ჩვეულებისამებრ დაწვრილებით მნუსხავ ცხრილის შედგენა მაინც და მაინც საჭიროდ არ მიგვაჩნია. შესაძლებელია ისედაც ნათელვყოთ აღძრული კითხვა.

ასე +50 დესეტინა მამული მთელ ტფილისის გუბერნიაში არის სულ (ამაში შედის **მეტად** მსხვილი მამული — +500) 2.087. ამ მამულს საერთო სივრცე აქვს 980,929,96 დესეტინა. ე. ი. მსხვილი მამული მთელ გუბერნიის მამულებში არის 33,66%, ხოლო ამ 33,66% უკავია მთელ მამულის 97,38%.

ახლა კი ჩვენ შეგვიძლია ყველა ამ მოპოებულ ცნობებს თავი მოუყაროთ და გამოვიყვანოთ შემდეგი ცნობა: ტფილისის გუბერნიაში საათავად-აზნაურო მამული შემდეგ ნაირადაა დანაწილებული. — სხვა და სხვა ზომის მამულს უკავია შემდეგი ნაწილი სათ.-აზნ. მამულისა:

0—1 დეს.	უკავია	=10,82%
1—5 „	„	=17,80%
5—50 „	„	=38,01%
+50+500 „	„	=33,37%
	სულ	=100%.

აი ამ რიგადაა დღეს დანაწილებული თავად-აზნაურული მამული ტფილისის გუბერნიაში.

თევდ. ღლონტი.

ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

1.

თავად-აზნაურობის მიწა-აღგილი).

ამ რიგად, თავად-აზნაურულ მამულის ერთი ნაწილი 19,82%, წარმოადგენს ნოლებიან მიწადმფლობელობას. აი ეს მამული ხუთი თუმნის შემოსავლით ამშვენებს ჩვენს თავადაზნაურობის ერთ ნაწილს.

რას წარმოადგენს დანარჩენი 89,18% თავად-აზნაურულ მიწა-ადგილისა? რა რიგადაა ეს დიდი ნაწილი სათ.-აზნ. მამულისა დანაწილებული?

მთელ თავად-აზნაურულ მამულს ჩვენ დავყოფთ ოთხ ნაწილად. პირველ ნაწილში მოვაქცევთ 0—1 დესეტინა მამულებს, რომელიც წინაწერილში დავასურათეთ, მეორე ნაწილში მოვაქცევთ წვრილ მამულებს 1—5 დესეტინიანს, მესამეში საშუალო მამულებს, ზომით 5—50 დესეტინამდე, ხოლო მეოთხეში იქნება სხვილი მამულები + 50 დეს.

მაზრების მიხედვით, მამულის რაოდენობა, ზომა და სხ., რომელიც 1—5 დესეტინას შეადგენს მთელ ტფილისის გუბერნიაში არის:

მაზრები	მამულის რიცხვი	ვარგისი მიწა	საშუალოდ მამულზე	თითო მამული*)
		დესეტინა		
ახალქალაქის	13	26,49	2,03	1,47
ახალციხის	31	95,75	3,19	1,87
ბორჩალოს	41	138,35	3,37	2,82
გორის	585	1,753,27	2,99	2,47
დუშეთის	41	119,34	2,65	1,61
სიღნაღის	118	342,20	2,86	2,51
თელავის	118	362,10	2,76	2,41
ტფილისის	54	151,73	2,80	2,16
თიონეთის	26	72,95	2,80	2,14
ზაქათ. ოლქში	77	245,76	3,19	2,85
გუბერნიაში	1, 04	3,307,94	2,99	2,40

*) ადგანაც ერთ მამულს ხშირად რამდენიმე პატრონი ჰყავს, ამიტომ აქ საჭიროდ დავინახეთ განსაკუთრებული სვეტი

როგორც ხედავთ, საშუალოდ **წვრილი** თავად-აზნაურულ მამული შეადგენს მთელ თავად-აზნაურულ მამულის **17,80%.** ქართლს, გორის მაზრას წვრილ სათავად-აზნაურო მამულში პირველი ალაგი უჭირავს მთელს ამერეთში, შემდეგ კახეთი მოდის სიღნაღისა ⁄ თელავის მაზრებით, შემდეგ მოდის ზაქათალის ოლქი, ტფილისის მაზრა, ბორჩალოს, დუშეთის და სხ მამულის რაოდენობით ყველაზე უმდაბლესი ალაგი ახალქალაქსა და დუშეთის მაზრებს ეკუთვნის.

ეხლა ვნახოთ რას წარმოადგენს **საშუალო** თავად-აზნაურული მამული. 5—50 დესეტინამდე მამულის რაოდენობა, მიწის სივრცე და სხ. უდრიდა:

მაზრებში.	რიცხვი მამულის.	ვარგისი მიწა.	საშუალოდ მამულზე.	თითო მამული.
		დესიატინა.		
ახალქალ.	30	796,99	26,56	19,92
ახალციხ.	43	618,50	14,33	10,49
ბორჩალ.	161	3.918,83	24,33	16,42
გორის	1.245	24295,43	19,51	15,09
დუშეთის	192	4.412,24	22,97	14,84
სიღნაღის	208	4.117,20	19,79	17,82
თელავის	194	3.801,78	19,59	14,56
ტფილის.	105	2.355,05	22,42	15,88
თიონეთ.	49	961,45	19,60	17,80
ზაქ. ოლ.	130	2.055,83	15,81	13,52
ტფ. გუბ.	2,357	47332,80	20,07	15,58

საშუალო შეძლების სათავად-აზნ. მამულები, როგორც წვრილი მამულები, ყოფილა ქართლში, განსაკუთრებით გორის მაზრაში. საშუალოდ ყველაზე მეტი მამული ზომით მოდის ახალქალაქის მაზრაში, ხოლო თითო მემამულეს ყველაზე ნაკლები ახალციხის მაზრაში. ყველაზე მეტი მოდის აგრედვე თითო მემამულეზე ახალქალაქის მაზრაში. საერთოდ, საშუალო მამულებს საერთო მიწის სივრცეში უკავია **38,0%.**

მსხვილი მიწათმფლობელობა ჩვენ მიგვაჩნია +50 დესეტინადან. ეს პლიუსი მეტად გამოურკვეველი და ფართე მცნება და ხან ის ათას დესეტინასაც სცილდება, მაგრამ, როგორც ნოლებიანზე მეტად შევჩერდით, ისე მეტად სხვილ მამულის ეითარებასაც უნდა მივაქციოთ მეტი ყურადღება და მისი არსება მარტივად, ნათლად წარმოვიდგინოთ.

წერილის მთლიანობისა და ერთხელ წესის დაურღვევლად ჩვენ შეგვეძლო აქ, როგორც ზემოდ, გვესარგებლნა საშუალო დაახლოვებითი ანგარიშით, ამას ჩვენ ქვევით თავისთავად შევასრულებთ, მაგრამ წინასწარ განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია გამოვარკვიოთ თუ დიდი ფეოდალები რა ძალას წარმოადგენენ დღეს ამერეთში, ე. ი. **მეტად** დიდი მემამულეები რამდენია რიცხვით და რაოდენია სივრცით მათი ჭურ-მამული? სტატისტიკა რა თქმა უნდა აქაც იძლევა სათანადო ცნობებს და ამიტომ საჭიროა მისი აქ გამოყენება. მეტად დიდ მამულად ჩვენ ვთვლით +500 დესეტინას. ასეთი მამული, რომელიც აღემატება 500 დესეტინას +500 დეს. ირიცხებოდა:

მაზრებში.	რიცხვი მამულის	ვარგისი მიწა	საშუალოდ მამულზე.
		დესეტინა.	
ახალქალაქის	4	5.730,33	1.432,58
ახალციხის .	10	16,876,27	1.687,62
ბორჩალოს .	110	204,923,28	1.869,93
გორის . . .	84	244.559,21	2.792,37
დუშეთის . .	35	44.957,45	1.281,64
სიღნაღის . .	30	58,473,00	1.949,10
თელავის . . .	33	46,641,24	1.413,37
ტფილისის . .	31	31.423,89	1.013,70
თიანეთის . .	24	22.185,80	924,40
ზაქათ. ოლქ.	26	31.248,60	1.201,86
ტფ. გუბერნ.	387	707.020,70	1.556,65

ეს ცნობა მეტის-მეტად საინტერესო და საგულისხმიეროა. **მეტად** მსხვილი მამული მთელ ტფილისის გუბერნიაში მხოლოდ 387—ყოფილა, ე. ი. საერთო თავად-აზნაურულ მამულის რაღაც 6,24%. ამ მეტად მცირე ჯგუფს—მაგნატებს თავადაზნაურობისას უჭირავს მთელ თავად-აზნაურობის მამულის 68,52%.

რომ უფრო ნათლად გამოვხატოთ თუ ტფილისის გუბერნიის ეს სხვილი მამაული რამდენს შეადგენს, ამიტომ ჩვენ პროცენტებში გამოვხატავთ სინამდვილეს და აქედან მაზრეებს დაუპირდაპირებთ. დავინახავთ, რომ მეტად მსხვილი მამულები იყო:

გორის მაზრაში	=	34,59%
ბორჩალოს „	=	28,98 „
სიღნაღის „	=	8,27 „
თელავის „	=	6,59 „
დუშეთის „	=	6,86 „
ტფილისის „	=	4,45 „
ზაქათალის „	=	4,42 „
თიონეთის „	=	3,14 „
ახალციხის „	=	2,38 „
ახალქალაქის „	=	0,82 „
ტფ. გუბერნიაში „	=	100 „

როგორცა ხედავთ, სიღატაკეშიაც სამდიდრეშიაც გორის მაზრას პირველი ალაგი უჭირავს მთელ ტფილისის გუბერნიაში. ახლა კი ვიკმაროთ ამით, და მეტად დიდ მამულის დახასიათებიდან გადავიდეთ ჩვენს სქემაზე და ნათელ ვყოთ თუ მთელ ტფილისის გუბერნიაში მამულის მთელი ასი ნაწილი რარიგადაა დანაწილებული.

შესაფარად ჰქონდათ თურმე მიჩნეული, ინტელიგენტთა ერთი ჯგუფის მეცადინეობით (არისტო ქუთათელაძე, ალ. ყიფშიძე, ექვ. თაყაიშვილი, ივ. რატიშვილი და სხვ.) იგი განახლებულა; პირველად აღუდგენიათ წმ. გიორგის ჰატარა სამლოცველო, რომელიც ეკლესიის დასავლეთითაა, ხოლო შემდეგ თვით მონასტერი. დღეს მონასტერს განაგებს და იცავს თავდადებული ადამიანი, ბერ-მონაზონი სპირიდონი (კეთილაძე), რომელიც აგერ თექვსმეტი წელიწადია უნაკლულოდ ასრულებს ამ მოვალეობას. თავდადებული მეთქი, ვამბობ, რადგან სწორედ ასეთი უნდა იყოს ის ადამიანი, რომელსაც ეკლესიის გამშვენებისა და დაცვის საქმისთვის ვაივაგლახი გადაუტანია. საქმე ისაა, რომ მონასტერი შტატ-გარეშეა და თან კერძო მესაკუთრეთა მამულში იმყოფება; არავითარი წყარო და სახსარი შემოსავლისა მას არ გააჩნია. მამული თ. ბარათაშვილებსა და მათ მემკვიდრეებს ეკუთვნით—ტყე და საძოვარი, რომელიც მონასტერს აკრავს, 53 დეს. შეიცავს, აქედან 25 დესეტინამდე, ეკლესიის გარშემო, თ-დ დავით ბარათაშვილს მემკვიდრეების (კნ. იულიასი და მისი ქალიშვილების: კნ. ბარბარე ბაგრატიონ-დავითაშვილისა, და მარიამ, ქიქოძის მეუღლისა) ყოფილა. თ. დავით ბარათაშვილს ეკლესიის განახლების ზეიმის დღეს აღუთქვამს ზემოდ დასახელებულ ინტელიგენტთა ჯგუფისთვის, რომ იგი თავის წილს მონასტერს სწირავს. მას აზრად ჰქონდა თურმე ამ ადგილში თავად-აზნაურთა შვილებისათვის საზაფხულო სამყოფის მოწყობა, მაგრამ განსვენებულის განზრახვა განზრახვადვე დარჩენილა და მონასტერი დღეს დიდ გაჭირვებას განიცდის. ბერ-მონაზონ სპირიდონს დღემდე თავისუფლად შეეძლო ეკლესიის გარშემო ტყე-საძოვრით სარგებლობა, რადგან ამის უფლება თვით განსვენებულ თ. დავითს მიუცია და სათანადო ბარათიც დაუწერია საკუთარი ხელით, ხოლო დღეს კი ასეთი უფლება მემკვიდრეებს არ უცვნიათ და აუკრძალავთ მამა სპირიდონისთვის, არა თუ მამულით სარგებლობა, არამედ მონასტრის მოვლა-შენახვაც კი. ამ გვარად, ყოველივე სახსარს მოკლებული, ისევ უნდა გაპარტახდეს დიდი გაჭირვებით აღდგენილი ძვირფასი ნაშთი, ან და სხვა ვინმე უნდა დაეპატრონოს მას, ეს ასეც მოხდება, რადგან თუ მონასტერს დაპირებული მამულით სარგებლობა მოესპო, რითი უნდა შეინახოს თავი? თვით ბერ-მონაზონ სპირიდონს ჯამაგირი, ან სხვა რამ გამორჩენა არ აქვს და დღემდი მცირე შემოწირულობითა და პირადი მხნეობით ინახავდა მონასტერს, მაგრამ რამდენი შესძლებს იგი ამგვარ მოღვაწეობას! მართალია, დღეს დღეობით რომელიმე ძველი ჩუქურთმით დამშვენებულ ტაძარს იაფფასიანი საღებავით მორთული „სალონი“ გვირჩევნია, მაგრამ მომავალს რაღას ვეტყვით, იმ მომავალს, რომელიც წყევა-კრულვით იხსენიებს ხოლმე წინაპართა სულმოკლეობასა და გულიცვობას!

დ'არ.

აპაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

შემდეგი.*)

წერილი მეთუთხმეტე.

(ონიდან გამოსვლა)

კვირას, 29 ივლისს, დილის ათ საათზე შეიკრიბნენ, დავ. გოცირიძის სახლში ქალები და კაცები ეროვნულ ტანისამოსებით მორთულნი, კომიტეტი და სხვა მგოსნის პატივისმცემელნი. სინემატოგრაფ-ფოტოგრაფით გადაიღეს მგოსანი რამოდენიმეჯერ, როგორც ქალებთან გასეირნებული, ისე კაცებთან და კომიტეტთან. სახლის დარბაზში მგოსანმა კედელზე წააწერა შემდეგი სიტყვები:

„სტუმართ მოყვარეობა
რაჭველთა განთქმულია,
მაგრამ სტუმრის გულშიაც
მათი სიყვარულია.

29 ივლისი. **ბაკაკი.**

ნაშუადღევის ორ საათზე ონის კომიტეტის განკარგულებით მიგვიწვიეს სადილზე; მგოსანს უთხრეს გამოსამშვიდობებელი სიტყვები; ძმ. ჯაფარიძეებმა უმღერეს გამოსათხოვარი სიმღერა; მგოსანს გული აუჩვილდა და მოკლე საპასუხო სიტყვა ცრემლებით დაათავა; სუფრაზე მჯდომთ ყველას ცრემლები მოგვერია და ათი წუთის განმავლობაში გაჩუმებულნი ერთმანეთს შევჩერებოდით. ოთხ საათზე ეტლები მოგვიყვანეს და მოვემზადეთ წასასვლელად; მგოსანმა დაჰკოცნა ყველა დამსწრენი, ჩვენც გამოვემშვიდობეთ ყველას და გულ-დაწყვეტილნი დაშორებით გამოვემგზავრეთ მეხუთე საათზე.

საზოგადოებამ გაგვაცილა ერთი ვერსის მანძილზე; ონის გასათავებელში, ხიდთან შეკრებილიყო აუარებელი ხალხი განურჩევლად სქესისა მგოსნის გამოსამშვიდობებლად. მგოსანმა შეაჩერებინა ეტლი, დაემშვიდობა ყველას, ხალხმა შესძახა „მშვიდობით“, „გაუმარჯოს აკაკის“ და განვაგრძეთ გზა. სამი-ოთხი ვერსის მანძილზე ჩვენს ეტლებს მოსდევდნენ უკან ცხენებით მაზრის უფროსი **ნ. ჩერნოვი**, იმისი ცოლი და შვილები. გამოთხოვებისას მგოსანი გადმოვიდა ეტლიდან, მადლობა უთხრა გამცილებლებს და გადაკოცნა ისინი. ჩვენც დავემშვიდობეთ მათ და გამოსწიეთ. იმ ღამეს ჩამოვედით ბარაკონში თავ. შ. ერისთვისას, სადაც უნდა გაგვეთია ღამე. ჩაის დალევის შემდეგ მგოსანმა, გიგო დიასამიძემ და მაზრის წინამძღოლმა დავ. ჯაფარიძემ მონათლეს შამადულეს შვილის-შვილი, პატარა ბიჭი. გაიმართა დიდებული ვახშამი და მოლხენა; თამადობა მიულოცეს აკაკის მხლებელთაგანს, კოტე აბდუშელიშვილს, რომელმაც ადღეგრძელა ყველანი რიგზე; ვახშამმა მხიარულად ჩაიარა, სუფრაზე შევრჩით ღამის სამ საათამდის; მგოსანიც იჯდა საზოგადოებასთან და მხიარულობდა, ოთხ საათზე დავიძინეთ.

მეორე დღეს, 30 ივლისს, ორშაბათს ჩაის დალევის შემდეგ გამოვემგზავრეთ ჭრებალოსაკენ; სადილზე მგოსანს მხლებლებითურთ მიელოდა ს. ხვანჭკარაში, გზაზედ თავის მარანში თავ. დიმ. ყიფიანი. პირველ საათზე უკვე ვიყავით მასპინძლის მარანში. დასვენების შემდეგ გავიშალეს ქართული სუფრა; გამხიარულებულმა და უხვმა მასპინძელმა დიმიტრიმ მოგვიხადა ორ-სამ ნაირი ღვინო, როგორც შარშანდელი ისე ოთხი-ხუთი წლისა; თამადობა მიანდეს თავ. ქაიხოსრო გელოვანს; გაიმართა სადღეგრძელოები და გამოსამშვიდობებელი სიტყვები; მალე გაჩნდნენ სხვა და სხვა სოფლებიდან მომღერლებიც და მოფერხულნიც. **აბელ კიკოშვილი** გამოეთხოვა მგოსანს ლექსით.

შემდეგ **გ. ლორთქიფანიძემ** უთხრა მგოსანს: „ძვირფასო მგოსანო! რამდენადაც თქვენი მობრძანება ჩვენში სასიხარულო იყო, იმდენად დღევანდელი დღე ჩვენთვის, როდესაც ეხლა გეშვიდობებით, არა სასიხარულოა. ჩვენგან გამონაცად სიხარულს თქვენის მოშორებით, თან და თან აკლდება ძალა, ისე როგორც დღევანდელ დღეს სინათლის სიცხოველე ქვეყნის მანათობელი მზის ჩასვლით; მხოლოდ ის იმედი გვასულდგმულებს, რომ როგორც ხვალ ეს მზე განახლებული სიცხოველით კვლავ ამოაშუქებს, აგრედვე თქვენი ცხოველი გენია, რომელიც მუდამ ჩვენთან არის, კვლავ აგვიტოკებს გულს განახლებულის ძალით და არას დროს არ მოგვშორდება. გაგვიძეხ, გაგვიძეხ წინ კვლავ, დიდებულო მგოსანო, რომ არ დავლაჩრდეთ, არ დავკარგოთ ქართული ელფერი, წმინდა ქართული ჩვეულებანი, და განვამტკიცოთ ურთიერთ შორის ძმობა, ერთობა და სიყვარული. სამაგიეროდ ჩვენს სიცოცხლეს არ დავზოგავთ თქვენთვის ჭ მომავალი შვილნი საქართველოსანი იმ ხელთუქმნელ ძეგლთან რომელიც თქვენ დაიდგით, გვერდით დასდგამენ ხელთაგან ქმნილ ძეგლს, რომელზედაც გამოხატავენ სახელებს ჩვენი საყვარელი სამშობლოს წარსული დროის სახელოვანი შვილებისას და თავზედ ოქროს ასოებით თქვენს სახელს დააწერენ. მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მგოსანო, იცოცხლეთ დიდხანს ჩვენდა საიმედოთ“!

სადილი გაგრძელდა საღამომდის; მგოსანი ზოგიერთი მხლებლით იმ ღამეს დარჩა მოსასვენებლად მასპინძელთან, ზოგნი კი ჩავედით **ჭრებალოში,** სადაც რ. ყიფიანის დ. კ. ღოღელიანის განკარგულებით დაგვახვედრეს მშვენიერი ბინა და მოგვასვენეს სიგრილეში. მეორე დღეს 31 ივლისს, დილით ადრე წამოვდექით და შევუდექით სამზადისს ლაილაშში გასამგზავრებლად.

(შემდეგი იქნება).

ლადო ბზვანელი.

*) იხ. „სახ. გაზეთი“ № 69.

გათოშის აბგეგი

დაიწყო სექტემბერი და მიაწყდა სასწავლებლებს მოსწავლე ახალგაზდანი, როგორც ყველგან აქაც ბევრი მშობელი იმედ გაცრუებული დაბრუნდა სასწავლებლის კარებიდან უადგილობის გამო.... აქ არსებულ სამოქალაქო მარინეს სასწავლებელი, რომელიც ქალაქის ხარჯზე ინახება და რომლებშიაც ნახევარზედ მეტი ქართველობაა ქართულის ენის ჭაქანება აღარ არის...

გარდა ამისა აქ არსებობს კერძო სასწავლებელი არნოლდისა, აქაც საკმაო რიცხვია ქართველობისა და არც აქ არის შემოღებული ქართულის სწავლება... რა თქმა უნდა ყველა ამის ბრალი თვით მშობლებს ედებათ, რომელთაც იმდონათ დაჰკარგვიათ ეროვნული თავ-მოყვარეობა, რომ ამ ამბავს გულ-გ ილად უცქერიან.

მუდმივი დასი, რომელიც შ. დადიანმა დაარსა აქა, პირველ სეზონს ხსნის 15 ენკენისთვეს—პირველად წარმოდგენილი იქნება ანდრეევის „გაუდეამუს“. საზოგადოთ კარგი რეპერტუარი შეუდგენიად ქართულ თუ ნათარგმნ პიესებისა. ვუსურვებთ საქმის წარმატებას.

ტრ ი—ძე.

მოწერილი ამბები

ს. კარდანახი (ქიზიყი) არ ვიცოდი თუ, ასე მოკლე დღე ექნებოდა ჩვენს საკვირაო სკოლას. დაარსებიდან კარგად მიდიოდა საქმე. სამრევლო სკოლის მასწავლებელი ნ. ზირახოვისა ასწავლიდა წერა-კითხვას, მღვ. ზირახოვი სამშობლო ისტორიას და ანგარიშს ირ. ფორაქიშვილი მეურნეობას და ექ. ტურიაშვილი გიგიენას. ძრიელ ბევრნი დაიარებოდნენ სასწავლებლად მეტადრე ხნიერი გლეხკაცობა. რომელნიც სიამოვნებით ისმენდნენ ტურიაშვილის და ფორაქიშვილის ლექციებს. ვფიქრობდით ეს არის ჩვენი ხალხიც შეისმენს რამესო. ექიმი ჩამოშორდა საკვირაო სკოლას და აქედან წაკიდა. დღეს ქსენონიც უექიმოდ არის დარჩენილი ერთი ფერშლის ანაბარას. ექიმის წასვლის შემდეგ საკვირაო სკოლაც მიიკეტა. ნუ თუ მარტო ტურიაშვილზე იყო დამოკიდებული მთელი ბედ იღბალი. ნუ თუ კარდანახს სხვა აღარავინ ჰყავს გულის შემატკივარი?

იმედია კარდანახის ინტელიგენცია განაახლებს დაწყებულ საქმეს.

კარდანახელი.

სოფელი დიდი-ლილო. სოფელი დიდი-ლილო ბითქმის მიკერებულია ქალაქზედ (სულ ათი თუ ხუთმეტ ვერსითაა მოშორებული ტფილისზედ), მაგრამ ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ თითქმის არაფერი არა იცის რა მის შესახებ. წლევანდლამდე ეს სოფელიც არაფერ საინტერესოს არ წარმოადგენდა: სცხოვრობდა ისე, როგორც სცხოვრებდნენ სხვა აუარებელი დანარჩენი სოფლები, მაგრამ წლეულ ბევრი შესანიშნავი რამ მოჰხდა, რის გამოც მსურს გავაცნო საზოგადოებას ამ სოფლის ცხოვრება. დიდ-ლილოში სცხოვრობს ას ორმოც და ათი კომლი; სოფელი, სხვებთან შედარებით პატარაა. დიდი ხანი არ არის რაც აქ დაარსდა მერძეობის ამხანაგობა, კოოპერატიულ ნიადაგზედ; გლეხები ძალიან კმაყოფილნი არიან. წლეულვე დაარსდა ამ სოფელში ორ კლასიანი სამინისტრო სკოლა, რადგანაც წინანდელი ერთ კლასიანი საეკლესიო სკოლა ვეღარ აკმაყოფილებდა სოფელსა. წლეულვე მოუვიდათ ბიბლიოთეკის დაარსების ნებაც, რომელიც ამ ცოტა ხანში დაიწყებს მოქმედებას; რამდენიმე წელიწადია აქვე არსებობს წვრილი საკრედიტო ამხანაგობა. სოფელს აზრადა აქვს დაარსოს სასოფლო მაღაზია, რაც აუცილებლად საჭიროა სოფლისათვის. ეს სუყველაფერი, რასაკვირველია, დიდად სასიამოვნო მოვლენაა ჩვენ სოფელში, მაგრამ სამწუხაროდ ხელმძღვანელნი ძლიერ ცოტანი არიან და, ვინც არიან, იმათაც გული უტყდებათ, რადგან აქაური მღვდელი ყველანაირ სასარგებლო დაწესებულების წინააღმდეგ ჰქადაგობს, რაც დიდ უსიამოვნებას იწვევს აქაურ გლეხობაში. სოფელ დიდ ლილოში არიან ორი მასწავლებელი და ერთი მღვდელი, ამ მღვდელმა ისე აწეწ-დაწეწა მთელი სოფელი, რომ წარმოსადგენადაც კი ძნელია. რაც თავის საქმე არ არის იმაში ეჩრება: მამასახლისობასაც თითონ იჩემებს, მწერლობასაც და ბოქაულობასაც. ყველას აშინებს, იმის მუდმივ სიტყვებს შეიდგენენ: გიჩივლებთ, ციხეში ჩაგასხმევინებთო, ციმბირში გაგაგზავნინებთო. ზოგი გლეხიც შიშით ხმას ვერა სცემს, ჩვენ მაგასთან სად შეგვიძლიან ბრძოლაო. მართალია, ეხლა აღარაფერ საქმეში აღარ ურევენ, ყველანი გარს ურბენენ, მაგრამ თითონ მაინც არ სცხრება. რამდენიმე ხანი ის მღვდელი წვრილი კრედიტის გამგეობის თავმჯდომარედ ითვლებოდა, მაგრამ მალევე გამოცვალეს და ამხანაგობიდანაც ამოშალეს, რაკი გაიცნეს რა შვილიცა ბრძანდებოდა. უნდოდა მერძეობის საქმეში ხელი ჩაეყო, მაგრამ ვერ მოუხდა და ამაზედ უფრო გაწიწმატებულია და არაფერ ზომებს არ ერიდება, რომ როგორმე აზიანოს.

ჯერ ამით ვათავებ ჩემს წერილს.

კრაზანა.

სხვა და სხვა ამბავი

ბეჭდვითი საქმის მთავარ სამართველოს, ფიქტიურ გამომცემელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, პრესის კანონ-პროექტში განუზრახავს ისეთი პუნქტის შეტანა, რომლის ძალითაც პერიოდულ გამოცემათა გამომცემელმა გირაო უნდა დასდოს. ამის გარდა გამომცემლებმა უნდა იქონიონ განსაკუთრებული წიგნი, რომელშიც ჩაიწერება წერილებისა და შენიშვნების ავტორთა სახელი და გვარი.

საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე „რეჩ“-ის რედაქტორის ელკინისა, რომელსაც არხანგელის გუბერნატორი ცილისწამებას უჩიოდა. გაზეთში ყოფილა დასტამბული ცნობა, რომ არხანგელის ერთ მილიონერს უსახელო ბა ათი მისვლია, ამა და ამ ადგილას ამდენი და ამდენი ფული დასდევი თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში შენს ერთად ერთ ქალიშვილს კარბოლის სიმჟავით დავასახიჩრებთო. ჟანდარმთა სამართველოს ურჩევია მილიონერისათვის მონაწერის ასრ ულება და იმ ადგილს, სადაც ფული უნდა მიეტანაო, ჟანდარმები ჩაუსაფრებია. ალმოჩენილა, რომ ფულის წასაღებად ადგილობრივი მაძებარი პოლიციის უფროსი მისულა. სასამართლოს 200 მან. ჯარიმა დაუდვია „რეჩ“-ის რედაქტორისათვის.

იუსტიციის სამინისტროს, ადგილობრივ სასამართლოს კანონის მიხედვით, განუზრახავს მომრიგებელ მოსამართლეთა 4.000 ახალი თანამდებობა დაარსოს.

გერმანიის სოც-დემოკრატების წლიურ კრებაზე ქალაქ ზემნიცში, პარტიის წესდების რეორგანიზაციის განხილვის დროს გაიმარჯვა რევიზიონისტების მიმართულებამ. კენჭის ყრის დროს ორტოდოქსები დამარხდნენ. კრებამ ფედერატიულ პრინციპს დაუჭირა მხარი. დაადგინეს, პარტიის გამგეობას დამხმარეთ მიუჩინონ 30 კაცისაგან შემდგარი სათათბირო, რომელიც სამ თვეში ერთხელ შეიკრიბება. შემდეგ პარტიულ კრებებზე რეიხსტაგის ფრაქციას გადამწყვეტი ხმა აღარ ექნება.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

8, 9 და 10 ენკენისთვეს.

საზღვარ-ბარეჯ

ოსმალეთ-იტალიის ომი.

დერნა. ოთხ სექტემბრის ბრძოლაში ოსმალეთის ჯარს უხელმძღვანელებდა ენვერ-ბეი.

სტამბოლი. გარეშე საქმეთა მინისტრს პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტისათვის უთქვამს, იტალიასთან საზავო მოლაპარაკება არ შეგვიწყვეტნია, მაგრამ მისი ჩქარა გათავების იმედი კი დიდი უნდა გვქონდესო.

ტრიპოლი. გუშინ, გენერალ რანიის ჯარმა, ათის საათის ბრძოლის შემდეგ, დაიკირა სიდიდ-ბელქატი. იტალიელებისათვის მოუკლავთ და დაუჭრიათ 200 კაკამდე, ოსმალნი ძლიერ დაზარალებულან.

ალექსანდრია. ენვერ-ბეი ტრიპოლიტანიიდან ჩამოვიდა, მებრძოლი ოსმალნი გაიძახიან, ბრძოლას განვაგრძობთ, თუნდაც ზავი ჩამოაგდონო.

საპარლამენტშორისო კავშირი.

ჟენევა. საპარლამენტშორისო კავშრების ყრილობაზე რუსებმა წინადადება შეიტანეს, სახელმწიფოთა შორის შუამავლობა დავაარსოთო. შემდეგ ყრილობამ მიიღო დეტურნელ-კონსტანის წინადადება ზღვასა და ხმელეთზე შეიარაღების შემცირებისა.

საპარლამენტშორისო კავშირის ყრილობამ მიიღო წინადადება ჰაერში ბრძოლის აკრძალვის თაობაზე. ფრანგები დიდი წინააღმდეგნი იყვნენ ამისთანა აკრძალვისა.

რუსეთის მინისტრი საზონოვი ლონდონში.

ლონდონი. გაზეთები დიდ მნიშვნელობას მიაწერენ საზონოვის ლონდონს ჩასვლასა. უმთავრეს ყურადღებას მიაქცევენ ინგლის-რუსეთის ხელშეკრულებას, რომელიც სპარსეთს შეეხებაო. ეს აზრი გმზეთმა „ტაიმსმა“ გამოსთქვა. „დეილი ნიუსი“ ამბობს, ინგლისს სპარსეთის სამხრეთში მოქმედების ისეთივე თავისუფლება უნდა მიანიჭონ, რანაირიც ჩრდილოეთში რუსეთსა აქვსო. ლიბერალებმა უნდა გადაჭრით მოითხოვონ სპარსეთიდან რუსის ჯარის გასვლა, თუ რუსეთს სპარსეთში ინგლისთან კავშირი ჰსურსო. „დეილი-ქრონიკლი“ დასძენს, გრეიმ გადამჭრელი ნაბიჯი უნდა გადასდგას და სპარსეთში დატრიალებული არეულობა მოსპოსო. ამისთანავე აზრისაა „დეილი-მელი“.

გრეის კერძოდ ნახვის შემდეგ გარეშე საქმეთა სამინისტროში საზონოვმა ნიკოლსონი ინახულა. გამოირკვა, რომ გრეი საზონოვთან ერთად როდი წავა ბალმორ ალს, არამედ ცალკე.

„ვესტმინსტერ-გაზეთი“ საზონოვის ჩამოსვლის გამო სწერს, ინგლისისა და რუსეთის ხელშეკრულებამ უნდა უზრუნველჰყოს სპარსეთის ხელშეუხლებლობაო. ამისათვის, უეჭველად საჭიროა რაიმე ღონისძიების გამონახვაო.

ლონდონში ჩასვლის დროს, როდესაც საზონოვი ვაგონიდან გამოდიოდა, ვიღაც უცნობი გაექანა მისკენ. ხელში დაბეჭდილი ფურცელი ექირა და ყვიროდა: „გაეთრიეთ სპარსეთიდან! ძირს რუსეთი!“ ეს კაცი დააპატიმრეს და ვაგზლიდან წაიყვანეს. ამ ინციდენტს, დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ. გამოკითხვის დროს, უცნობმა განაცხადა—ჩემ საქციელს პიროვნული ხასიათი აქვსო ეტყობა, სულით ავადმყოფი უნდა იყვეს.

„ტაიმსი“ ამბობს, ინგლისის ინტერესებს სამხრეთ სპარსეთში ძლიერ სჩაგრავენო, საქმეს მოგვარება უნდაო.

გაზეთები, საზოგადოდ სიხარულით ეგებება საზონოვის ჩასვლას ლონდონში, აღნიშნავს ინგლის-რუსეთის მეგობრობისა და სამთა შეთანხმების ევროპისათვის მნიშვნელობას.

ოსმალეთი.

უსკიუბი. ოსმალებმა 20 ვაგონი სამხედრო სურსათი დაიჭირეს. სურსათი სალონიკიდან სერბიას მიჰქონდათ.

ჩერნოგორიის საზღვარზე ოსმალთა და ჩერნოგორელებს შეტაკება აქვთ.

სტამბოლი. შინაგან საქმეთა მინისტრმა მინისტრთა საბჭოს მოხსენება წაუკითხა იმ რეფორმათა თაობაზე, ოსმალეთის პროვინციებში რომ უნდა შემოიღონ.

მალისორებს, რომელთაც ჩერნოგორიის საზღვარი გადმოლახეს, ოსმალეთის ჯართან შეტაკება ჰქონდათ. კავასა და პაიაკის მიდამოებში მალისორებს იარაღის საწყობი გაუძარცვამთ. პორტამ ჩერნოგორიას ძლიერი საყვედური გამოუცხადა, გამოქცეულ მეამბოხე-მალისორებს რათ იხიზნავ შენს საზღვრებშიო. მთავრობა ძალიან ნაწყენია ჩერნოგორიისაგან. თუ პორტამ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო, შეიძლება საქმე გართულდეს.

უნიონისტები და ჰომრული.

ბელფასტი. ირლანდიის უნიონისტების მოთავემ გამოაქვეყნა უნიონისტების დადგენილება, სადაც ჰომრულს ელსტერის ერის დაღუპვას უწოდებს. გარნა ამისა, ნათქვამია, თუ ირლანდიას ძალად მოახვიეს პარლამენტი, არ მივიღებთო.

ჩინეთი

მუკდენი. მანჯურიაში აარსებენ „სამშობლოს ხსნის“ საზოგადოებას, რომელსაც მიზნად დაუსახავს ტიბეტისა და მონგოლეთის დაცვა-შენახვა. ადმინისტრაცია საზოგადოებას ძლიერ დახმარებას უწევს.

პეკინიდან მოსული ბრძანებისამებრ მონგოლეთში სამხედრო მოქმედება შეაჩერეს. ჯარის-კაცებს ფული დაურიგეს. მუკდენის დუდუს უბრძანეს, მონგოლებთან სამშვიდობო მოლაპარაკება განაახლეო. მოლაპარაკების წარმოება მიანდვეს დოთაინსუნს.

ნინგუტა. აქაური ჯარი არ დაემორჩილა თმის მოკრეჭის თაობაზე გამოცემულ ბრძანებას.

ჩინელების მხეცობა.

ხარბინი. ჩინელთა საექსპედიციო ჯარი გადმოსულა თაონანფუს ოლქიდან ჩრდილოეთს და მონგოლები აუწიოკებია. საშინელი მხეცობა ჩაუდენიათ, არც ბავშვებს ინდობდნენ თურმე, არც ქალებსა.

16 აგვისტოს დაუნგრევიათ და გადუწვამთ ქოშუმუსის მონასტერი, მიდამოებში მცხოვრები მონგოლები კი მთლად ამოუჟანჯლავთ.

25 აგვისტოს ჩინეთის ჯარს აუოხრებია ორი მონასტერი. ორმეტი თავდასხმამდე გაქცეულან, იქაური მცხოვრები მონგოლები კი, რიცხვად რამდენიმე ათასი, დაუხოცნიათ. ზოგიერთი ცოცხლად დაუწვამთ. ქალებისა და ბავშვების გვამები დასახიჩრებული ყოფილა.

30 აგვისტოს ჩეკასტუს სამთავროში კიდევ აუოხრებიათ ორი მონასტერი. მთავრის ოჯახი ამოუწყვეტნიათ. სიკვდილს გადარჩენილი მონგოლები ქაილარს გარბოდნენ თურმე. მთავარსა და მის ცოლსაც მოუსწვრია გაქცევა.

სომხის პატრიარქი.

სტამბოლი. სომხის პატრიარქმა და საეროვნო საბჭომ თავი გაანება სამსახურს, რადგან პორტას არ აუსრულებია დაპირება და სომხის სოფლის ამწიოკებელი ქურთები არ დაუსჯია.

პოლონეთის სამეფო.

ვენა. მთლად გერმანელების ორგანო „ალტ-დეიტშეს-თაგბლათი“ ავსტრიის პოლონეთის სამოყვრო პოლიტიკის გამო მსჯელობს და რუსეთსა და გერმანიას აფრთხილებს: ყოჩაღად იყავით, თორემ პოლონელებს საიდუმლო გეგმა აქვთ. პოლონეთის სამეფოს აღდგენისა და კათოლიკე—პოლონელის გამბურგის გამეფებისაო. გაზეთი ჰგულისხმობს თურმე ერცჰერცოგს კარლოს სტეფანს, რომელიც გალიციაში, საიბუშსა სცხოვრობს თავის ამალითა.

სპარსეთი.

თავრიზი. გუშინ შუჯა-უდ-დოულეს შაჰსევანთა ბეგების დეპეშა მოუვიდა. ბეგები ბოზგუშში შეკრებილან და შუჯას სთხოვენ, დაგვეხმარე და რუსების წინაშე გვიშუამდგომლეო. ბეგები დასძენენ, ყველა თქვენს ბრძანებას ავასრულებთო. შუჯა-უდ-დოულემ ეს დეპეშა გენერალ ფიდროვს გაუგზავნა.

ოსმალეთის ასკერებსა და ქურთთა ტომებს შეტაკება მოჰსვლიათ. ბევრი დაუჭრ- დაუხოცნიათ. ასკერებს უკან დაუხევნიათ.

თავრიზში შაჰად ნამყოფის სასარგებლო მოძრაობაა: ხალხი დარწმუნებულია, ძველი შაჰი რომ ჩამოვიდეს, არეულობა მოისპობაო.

სერბიელთა ქალები.

ბელგრადი. სერბიელ ქალთა საზოგადოებანი რუსის ელჩის პირით რუსეთსა სთხოვს, ძველ სერბიაში მცხოვრებნი და მაკედონელები დაიცავით ოსმალთაგანაო. აქაური სერბიელები რამდენსამე საუკუნეს ქრისტიანობის დედა-ბურჯობას ეწეოდნენ ბალკანეთისათვისაო. ამასთანავე შუამდგომლობა აღუძრავთ რუსის ელჩთან ბელგრადის პროფესორებსა და ინტელიგენციასა.

„სამოუპრავა“ სწერს: ბალკანეთის კრიზისის შედეგი თვით ოსმალეთზეა დამოკიდებული და არა სერბიაბულგარეთზეო.

პარიზი. მინისტრთა საბჭოში პუანკარემ ბალკანეთისა, კრიტეს და სამოსის მდგომარეობის თაობაზე მოხსენება წაიკითხა.

ლონდონი. ნამდვილად გამოირკვა, რომ ბალკანეთის სახელმწიფოებს კავშირი შეუკრავთ. ამბობენ, საქმე გართულდება, თუ ევრობის ოსმალეთში რეფორმებს არ განახორციელებენო. იმედი აქვთ საზონოვთან მოლაპარაკებისა.

უცხოეთი

ოპოზიციის ბრძოლა უნგრეთის პარლამენტში.

მკითხველს ალბად ემახსოვრება, რომ უნგრეთის პარლამენტის უკანასკნელი სესია სისხლის ღვრით გათავდა. სამინისტრომ და პალატის თავჯდომარემ, გრაფმა ტისამ ძალდატანებით მიაღებინეს ხალხის წარმომადგენლებს მთავრობისათვის მეტად საჭირო სამხედრო კანონ პროექტი; შეურაცყოფილმა ოპოზიციამ მაშინ ობსტრუქციას მიმართა და ერთმა დეპუტატმა რევოლვერი ესროლა პალატის თავჯდომარეს, რის შემდეგაც თვითვე თავი მოიკლა.

სესიის განახლებისას ოპოზიციამ კვლავ გაიხსენა წარსული შეურაცყოფა და ისევ ჩვეულებრივ ობსტრუქციას მიჭყო ხელი. ოპოზიციის ასმა წევრმა გადასწყვიტა ხელი შეუშალოს პარლამენტს მუშაობას, სანამ პრემიერ-მინისტრი ლუკაჩი და პალატის თავჯდომარე ტისა სამსახურიდან არ გადადგებიან. პარლამენტის სარდაფებში მთავრობას ადრევე დაემზადებინა ჟანდარმები და ჯარისკაცები, რადგან ოპოზიციონერებს განზრახავ ჰქონდათ ტისა ძალით გაეყვანათ დარბაზიდან, ამიტომ თავჯდომარე მცველების თანხლებით მისულა პარლამენტში. მისვლისათანავე ოპოზიციის სკამები-

დან ასტყდა ხმაურობა, ყვირილი, სტვენა, ჯოხებითა და ხელით ბრახუნი, ავტომობილების საყვირი და სხვ. ორი საათის განმავლობაში ხმაურობა არ შეწყვეტილა. როგორც კი ტისამ დაიწყო კითხვა რესკრიპტისა დელეგაციების შეკრების შესახებ, ხმაურობა უფრო გაძლიერდა; გაისმა ძახილი ტისას მიმართ; „გაიძვერავ, არამზადავ, გაეთრიე აქედან!“ სხვები კი ლუ ახს უყვირიდნენ: „მშიშარავ, გრ ,ევნოდეს, გაეთრიე!“ ოპოზიცია გედერვარისა, რატისა და იუსტის წ ,ამძღოლობით გაექანა ლუკაშისაკენ საცემად. მთავრობის პარტია შემოერტყა მინისტრის ლოჟას. შეიქნა ძიხლა-მოხლა, რომელიც ვინ იცის როგორი უბედურობით გათავდებოდა, რომ ერთს ოპოზიციონერს არ დაეძახა: „დაწყნარდით! ოპოზიციამ სხვა დროსთვის უნდა შეინახოს თავისი ძალა!“ ამ დროს გაისმა კოშუტის სიმღერა და ტისამაც სხდომა დახურა. კრების განახლებისას კვლავ ისეთივე ხმაურობა ასტყდა. ლუკაჩმა მიატოვა მინისტრის ლოჟა, მაგრამ ამანაც ვერ უშველა საქმეს. ტისამ ხელმეორედ დახურა სხდომა. როცა მესამეჯერაც იგივე აძბავი დატრიალდა, ტისამ დაიყვირი: „კმარა.“ სხდომის დარბაზში იძ წუთსვე შემოვიდა 200 პოლიციელი. იგინი დაერივნენ დეპუტატებს და დაუწყეს ცემა ტყეკით გარეთ გათრევა, არც დეპუტატები აკლებდნენ ხელს, ბევრს გულიც შეუწუხდა. დიდი წინააღმდეგობისა და ბრძოლის შემდეგ განდევნილი დეპუტატები ისევ დაბრუნდნენ დარბაზში. პოლიციის უფროსი პალატის თავჯდომარესთან წავიდა განკარგულების მისაღებად გრაფმა იული ანდრაშიმ, რომელიც უმრავლესობის უდიერობის შემდეგ ოპოზიციას შეუერთდა, წინადადება მისცა ოპოზიციონერებს თავისი ნებით წასულიყვნენ და სასტუმროში გაემართათ მოლაპარაკება, იგინი დასთანხმდნენ, რის შემდეგაც ტისამ წაიკითხა დეკლარაცია და მწუხარება გამოსთქვა მომხდარი ამბების გამო.

მეორე დღეს სხდომის დაწყებისათანავე განახლდა ხმაურობა და წივილ-კივილი. გამაყრუებელი ყვირილის დროს ერთძა დეპუტატმა ლახძღვით მიმართა ვაჭრობის მინისტრს ბეეტის. ბეეტიმ მუშტით შეუტია დეპუტატს და დაუწყო ცემა, მაშინ მთავრობისა და ოპოზიციის პარტია ერთმანეთს მიესია და შეიქმნა ერთი ვაი—უშველებელი. მთელი პარლამენტი ხელჩართული ბრძოლის სანახაობას წარმოადგენდა, რომლის დროსაც 11 კაცი მძიმედ დაშავდა, ხოლო 10 ,ესუბუქად ბოლოს, პოლიციელების დახმა ბით როგორც იყო გააშველეს მოჩხ ობრები და გრაფ ანდრაშის ნიშნით ოპოზიციამ დასტოვა დარბაზი. მათი წასვლის შემდეგ მოხდა დელეგა ციის არჩევნები რომელშიც გარდა რამდენიმე ხორვატისა, სულ მთ ვრობის პარტიის წევრები მოხვდნენ. ოპოზიციამ დაადგინა, მანიფესტით ,ომართოს ხალხს და აუწყოს, რომ რადგან დელეგატების არჩევანი უკანონოა, მაშასადამე არც მათ დადგენილებებს ექმნებათ საკანონმდებლო ძალა. პარლამენტში მომხდარმ ამბებმა დიდი მღელვარება გამოიწვია უნგრეთის სატახტო ქალაქს ბუდაპეშტი. სოციალისტებმა მოწოდება გამოსცეს და მუშებს იწვევენ მთავრობის საწინააღმდეგო მანიფესტაციებისა და ბარიკადების მოსაწყობად. სტუდენტებიც ღელავენ. კომუტის სახლის წინ გაიმართა დიდი მანიფესტაცია, ძახილით: „გაუმარჯოს რესპუბლიკას“! პოლიციამ ყოველგვარი ზომა მიიღო, მას ნაბრძანები აქვს, პირველი ნიშნისთანავე სროლა დაიწყოს, სახლები საღამოს 8 საათზე იკეტება. პირველი შეტაკება ოკოჩის ქუჩაზე მოხდა, სად ოპოზიციის დეპუტატი გრაფი კაროლი სცხოვრობს. 3000 კაცისაგან შემდგარმა ბრბომ ჩაღეწა ფანჯრები, გადააბრუნა ტრამვაის ვაგონები და დაუწყო მაღაზიებს ცარცვა. ჯარი და პოლიცია შემოერტყა მას და ასტყდა სროლა. ბევრია დაჭრილ-დაშავებული. ასეთია უკანასკნელი ამბები რომელიც ვინ იცის როგორი შედეგით გათავდება.

თეატრი და ხელოვნება

ალაგირი (თერგის ოლქი). კვირას, 2 სექტემბერს, ქართულ სკოლის დარბაზში ადგილობრივ სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს „უმარილის ბრალია“, კომ. სამ მოქმედებად თუთაევისა, და „ჭკუისა მჭირს“, ვოდ. ერთ მოქ. ა. ცაგარლისა. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო.

მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი ნინა მეტრეველი, სონა მიდელაშვილი, ნატალია ლობჯანიძე; ბ-ნნი ილ. ლობჯანიძე, ან. კალანდარიშვილი, სამ. მეტრეველი, პ. მეტრეველი, ვ. მეტრეველი, ნ. ლობჯანიძე, ვ. ლობჯანიძე, ალ. ხიდეშელი, და სხვ. ყველამ როლები კარგად იცოდნენ.

წარმოდგენის გამგე **პეტრე მეტრეველი.**

შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) ლევან გიორგის ძემ ჯანდიერმა: ა) ხორასნის ხმალი, შეევერცხლილი საპირისწამლე და შეევერცხლილ მასრებიანი და სალტიანი სასწრაფო.

2) ნატახტრის მცხოვრებელმა ივანე როსტიაშვილმა: ა) შუშის სამაჯურის ნატეხი, ნაპოვნი სასაფლაოში, სოფ. ნატახტარში, და ორი შავი ფული.

3) გიგო ყარანგოზიშვილმა: თავის საკუთარი და პაპის პარტრეტი.

4) თ. ელექსანდრე ალექსანდრეს ძემ ამირაჯიბმა: ვერცხლის ფული.

5) თ. ივანე გიორგის ძემ ციციშვილმა: ა) წარწერიანი ჯვარი ქვისა და ბ) რუსული შავი ფული 1781 წ.

6) თ. თარხან-მოურავის მეუღლემ, ელენე იაკობის ასულმა: ა) პორტრეტი კონა ერისთავისა, ბ) პორტრეტი საგინაშვილის მეუღლისა, გ) კონა ერისთავის პერანგი, მშვენიერი ხელოვნებისა, დ) ხუთი მარგალიტიანი ღილი საკინძისა და ე) ორი დაირა.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას სწირავს შემომწირველთ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

მატარებელთა მიმოსვლა

(ᲡᲐᲠᲬᲘᲤᲘᲡ ᲓᲠᲝ).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10**სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საადგილო მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საადგილ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისაკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: საადგილ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საად.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 ს. **ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

ᲡᲐᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲝ ᲛᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ბ. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჰშელ-სასმელს აკეთებენ და ჭყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკინის მოედანზე.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲘ

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

ᲣᲤᲐᲡᲝ ᲡᲐᲔᲥᲘᲛᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ბ. გედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შაგერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ბ. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ბ. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲨᲐᲕᲖᲦᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲡᲙᲘᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 2 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დილით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

ᲡᲐᲜᲐᲕᲛᲚᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ ᲓᲐ „ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲘ“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობთ საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის 8. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 682.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ
ᲡᲐᲒᲣᲚᲐᲚᲢᲠᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ
ᲘᲕᲐᲜᲔ ᲖᲐᲫ. ᲢᲔᲠ-ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲕᲘᲡᲘᲡᲐ

საკომერციო ცოდნათა გამავრცელებელ. საზ. ს.-პეტერბურგის უმაღლეს საკომერციო კურსების პროგრამითა.

სწავლა 15 ენკენისთვეს დაიწყება. მიხეილის პროსპ. ს. № 53. (4.662.3)

ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲘᲐᲠᲝ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲗᲣᲮᲐᲠᲔᲚᲘᲡᲐ,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს.-მდე) მოწმენს. თავმესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** (თ. 1037.60)

ᲔᲥᲘᲛᲘ

Ე. ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბ.-ქოს ქუჩა № 12.

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

ᲓᲘᲚᲘᲗ:

„606“ — 11—12 ს. ᲨᲔᲨᲮᲐᲪᲣᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲢᲘᲣᲠᲐᲓ.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბვეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., სამ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ბ. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

მ. გ. ბვეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**
(წ. 1078.2—0)

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ᲔᲥᲘᲛᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშნგისა და კანის სნეულებისა—დღის 1—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგია ზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. ბ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტროლითია და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ, ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწერებენ, რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგებ. საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲐ „606“-ᲘᲗ.

(0—253—21)

პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი

Ე. Გ. ᲥᲘᲥᲝᲫᲘᲡᲐ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ (ᲠᲝᲠᲘᲐᲚᲘ) ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲡ.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11.
(23.651.6)

Გ. ᲓᲐ Მ. ᲢᲔᲠ-ᲓᲐᲕᲘᲓᲘᲐᲜᲪᲘᲡ

ᲡᲐᲒᲣᲜᲯᲐᲚᲢᲠᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—21)

ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲔᲑᲘ
ᲗᲝᲛᲐ Დ. ᲯᲐᲜᲣᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მაღაზია-სახელოსნოში

მუხრანის ქ., № 2. ყოველ ნაირი ფეხსაც საუკეთ. მასალ, ზომიერ ფასებში.

(25.549.3)

ᲕᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲒ

1. დაგირავებას და გადაგირავებას უძრავ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეედვე სოფლებში. 2. უძრავ ქონებათა სყიდვა-გაყიდვას. 3. მადნეულობის გამოკვლევას და შემუშავებას. 4. ყოველგვარ არზებს და პირობის ქაღალდს შედგენას. 5. ხეტყის მასალის მსყიდველის და გამსყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.**, სახლი **მანთაშევისა**, სასტუმრო „უნივერსალი“, № 2, ტელეფონი № 499.

(25.659.3) **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე.**

გამოსულია და იყიდება

ნ. ᲛᲘᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ᲞᲘᲔᲡᲐ „ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲒᲐ“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
Ი. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ
„ᲒᲐᲛᲪᲔᲒᲘᲠᲘ“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება
ᲐᲠᲩᲘᲚ ᲭᲝᲠᲭᲐᲫᲘᲡ
ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲧᲘᲜᲣᲚᲘ

სუფთა მილის წყლიდან დამზ დებული იყიდება

ᲤᲐ. Კ. ᲕᲔᲢᲪᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲗᲐ

ლუდის ქარხანაში, ახალ ნიხრამდე ფუთი ოთხ აბაზად. ვეტცელის ლუდის მუდმივ მუშტრებს შესამჩნევ ფას დაკლებით ეთმობათ.

(5.1489.3).

Ე. Ა ᲪᲐᲢᲣᲠᲝᲕᲘᲡ
ᲓᲔᲞᲝᲨᲘ

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი

რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.

ᲤᲐᲡᲔᲑᲘ 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.

(40—1400—19)

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ-ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ

ᲒᲣᲮᲙᲐᲚᲢ ᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲘ
Ი. Ფ. ᲙᲐᲚᲐᲪᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡᲐ,

(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

19 2—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყება.

კურსებზე შემსწავლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **ბუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს, ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) 2) **ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ საადგილ-მცემლის, საბანკოს, საზოგადოს, სასოფლო-მეურნეობისას, ქალაქისას და ერობისა. 3. საკომერციო არითმეტიკას. 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) საღებ-მიცემლ მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე. 7) ლამაზად და სწორ წერას (კალიგრაფიას), 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას, 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე **საღებ-მიცემლ მიწერ-მოწერას.**

რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

(25—1447—9)

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

Ნ. Ვ. ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ
ᲡᲐᲒᲣᲚᲐᲚᲢᲠᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **ᲙᲣᲠᲡᲘ 4 ᲗᲕᲘᲡᲐᲐ** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 სექტემბერს, 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვადასხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ ნაირ ტ სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ ნაირ ტ სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ ნაირ ტ წესით. დასწავლენება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდებ. ტიკა, ბოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერა, ხელ ბა, ბოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერა, ხელ ლის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები,** სტენოგრაფია ტ რელ. მინგტონ. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ თხოვნები მიიღება ყოველ დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (თ. 1450 8)

ᲛᲘᲒᲘᲦᲔᲗ ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲨᲕᲔᲓᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲚᲘᲙᲐᲢᲔᲡᲜᲘ ᲙᲘᲚᲙᲔᲑᲘ.

ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲜᲘ ᲫᲛ. ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ.

ᲯᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ქ., ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ Ს. № 9. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 712.

ᲑᲝᲭᲙᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ
ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ,

ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲭᲐ 1 Მ. 60 Კ.

ᲐᲒᲠᲔᲓᲕᲔ ᲛᲝᲒᲕᲓᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲚᲝᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ. ᲙᲝᲑᲠᲘ, ᲡᲐᲖᲐᲜᲘ.

(წ.1131.250)